საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კატინთაუ

კატინთაუ, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, ბეზენგის (ხალდის) კედელზე, მდინარეების – ენგურისა და ბეზენგის ჩერეკის წყალგამყოფზე. სიმაღლე 4979 მ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

კ-ზე მთამსვლელთა ჯგუფი პირველად ავიდა 1931 შ. მიქელაძის ხელმძღვანელობით (მონაწილეობდა დ. წერეთელი და სხვ.).

მ. უთმელიძე